პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 115 (3599)

13 1968 წ. ივნისი. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.




## დღის წესრიგშია მეხიკოს თამაშები

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს VI პლენუმის გამართვისა და ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ ს. პ. პავლოვის, ხოლო მის პირველ მოადგილედ ი. დ. მაშინის არჩევის თაობაზე.

საორგანიზაციო საკითხის გარდა პლენუმმა განიხილა საბჭოთა სპორტსმენების მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებასთან დაკავშირებული საკითხიც.

## ყველა ფინალისტი ცნობილია

მილანის „კოცონს“ აუზში ბულგარეთისა და ესპანეთის გუნდების შეხვედრით დამთავრდა წყალბურთელთა შესარჩევი ტურნირი, რომელსაც უნდა გამოევლინა მეხიკოს თამაშების ბოლო 3 ფინალისტი. უკანასკნელ დრომდე მეხიკოში გასამგზავრებლად პრეტენზიას აცხადებდა 4 გუნდი — გფრ, ბულგარეთი, ესპანეთი და ჰოლანდია. ამ უკანასკნელმა დაამარცხა (3:2) ბულგარელი სპორტსმენები, ხოლო გერმანელებმა — ესპანელები (2:1). მესამე პრეტენდენტი უნდა დაესახელებინა ესპანეთისა და ბულგარეთის გუნდების თამაშს. გაიმარჯვეს ესპანელმა წყალბურთელებმა—2:1.

ამრიგად, ყველა ფინალისტი ცნობილია. ესენი არიან: სსრ კავშირის, უნგრეთის, იუგოსლავიის, იტალიის, გდრ-ის, რუმინეთის, მექსიკის, კუბის, აშშ-ს, ბრაზილიის, ავსტრალიის, ესპანეთის, ჰოლანდიისა და გფრ-ის გუნდები.

## პრიზი — იმედო ფხაკაძეს

ახლახან კრასნოდარში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ფინეთის, კრასნოდარის მხარის, სსრ კავშირის I და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები. სსრ კავშირის I ნაკრებმა შეჯიბრება დაუმარცხებლად განვლო (დაამარცხა სსრ კავშირის ახალგაზრდული გუნდი — 21:20, კრასნოდარის მხარის ნაკრები — 23:17 და ფინელები — 30:19).

II ადგილი წილად ხვდა ახალგაზრდულ ნაკრებს, რომელმაც დაამარცხა ფინეთის (28:19) და კრასნოდარის მხარის (22:16) გუნდები. კრასნოდარელებმა მხოლოდ ერთი მატჩი მოიგეს (ფინეთთან — 27:12) და III ადგილი დაიკავეს. ფინეთის ნაკრებს არც ერთხელ არ გაუმარჯვია.

თბილისელთაგან სსრ კავშირის I ნაკრებში შედიოდნენ ჯ. ცერცვაძე და ი. ფხაკაძე, ახალგაზრდულ ნაკრებში კი გამოდიოდა მეკარე ა. ხუციშვილი.

დაწესებული იყო 4 პრიზი. მეკარეებისთვის განკუთვნილი ჯილდო მიიღო ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ს. სემიონოვმა, ხაზის საუკეთესო მოთამაშისა — სსრ კავშირის ნაკრების წევრმა ვ. ზელენოვმა, საუკეთესო გარემარბისა — ი. ფხაკაძემ, საუკეთესო ბომბარდირისა — ფინელმა კ. ოსტრიომმა (გაიტანა 27 გოლი).

კრასნოდარში ასპარეზობის დამთავრების შემდეგ მონაწილენი გაემგზავრნენ სოჭში, სადაც 11 ივნისს 2 შეხვედრა გაიმართა. კრასნოდარის მხარის ნაკრები შეხვდა სსრ კავშირის ახალგაზრდულ გუნდს და დამარცხდა (15:20), სსრ კავშირის I ნაკრებმა კი გაიმარჯვა ფინეთის ეროვნულ გუნდთან — 29:15.



## 155 საათი... შეუჩერებლივ

**დელი, 11 ივნისი.** რეკორდები სხვადასხვანაირია... მებრძოლი რელიგიური სექტა სიკხის წარმომადგენელმა, 30 წლის ხარბანს სინგხმა მოითხოვა, რომ მსოფლიო რეკორდად აღიარონ მისი შედეგი სიარულში: ინდოელმა ბომბეის პარკის გარშემო შეუჩერებლივ იარა 155 საათი და 45 წუთი.



თბილისის იპოდრომზე დამთავრდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ცხენოსნობაში, რომელიც ამავე დროს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ახალგაზრდობის I რესპუბლიკური სპორტული თამაშებით გათვალისწინებული შეჯიბრებაც იყო.

სურათებზე: ზევით — სამჭიდში გამარჯვებული გულრიფშელი ა. ღურწკაია ასპარეზობისას; ქვევით — 8-კილომეტრიან მარულაში გამარჯვებული ცხაკაიელი ა. მესხი (მარჯვნივ) შეჯიბრების დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ახალი ამბები

● **მოსკოვი, 11 ივნისი.** დედაქალაქის მოჭადრაკეთა ჩემპიონატში 11 ტურის შემდეგ ლიდერობს დიდოსტატი დ. ბრონშტეინი — 8,5 ქულა. II ადგილზეა მსოფლიო ჩემპიონი ტ. პეტროსიანი — 8. III-IV ადგილებს იყოფენ დიდოსტატი ი. ავერბახი და ოსტატი ი. ზაიცევი — 7,5-7,5.

● **მოსკოვი, 11 ივნისი.** იტალიის ქალაქ ბოლცანოში ასუჯრიან შაშში ოლიმპიურ ტურნირში სათამაშოდ გაემგზავრნენ მსოფლიო ჩემპიონი, დიდოსტატი ი. კუპერმანი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, დიდოსტატი გ. შჩოგოლევი და სსრ კავშირის ჩემპიონი, დიდოსტატი ა. ანდრეიკო. ამ ტურნირის შემდეგ საბჭოთა მოშაშეები ჰოლანდიას წავლენ, სადაც ივლისის დამდეგს მატჩს გამართავენ ადგილობრივ სპორტსმენებთან.

● **კეჩკემეტი, 12 ივნისი.** საბჭოთა დიდოსტატის ლ. შტეინის გამარჯვებით დასრულდა აქ უნგრელი მოჭადრაკის ლასლო ტოტის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი. 15 ტურში შტეინმა 12 ქულა დააგროვა და მეორე პრიზიორს, ასევე საბჭოთა მოჭადრაკეს ე. გუფელდს 2,5 ქულით აჯობა. III ადგილი დაიკავა უნგრელმა ოსტატმა ი. ჩომმა (9 ქულა), რომელმაც რამდენიმე თანამემამულე ჩამოიტოვა, მათ შორის, დიდოსტატები გ. ბარცა და ლ. ბარცაი.

● **ბუქარესტი, 12 ივნისი.** ტყვიის სროლის ოსტატთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებმა მხოლოდ ერთი გამარჯვება მოიპოვეს: ა. გრიშინმა პისტოლეტით სროლაში 563 ქულა მოაგროვა 600-დან. დანარჩენ ოთხ სახეობაში წარმატება ხვდათ გფრ-ის (ორჯერ), პოლონეთისა და რუმინეთის წარმომადგენლებს. ტურნირში მონაწილეობდნენ ბელგიის, უნგრეთის, გდრ-ის, ესპანეთის, იტალიის, კუბის, მექსიკის, პორტუგალიისა და იუგოსლავიის სნაიპერებიც.

## უკანასკნელი საათი..

◆ **მოსკოვი, 12 ივნისი.** მასპინძელთა გამარჯვებით აღინიშნა ბუქარესტის ველოსიპედისტებთან მათი აქ დამთავრებული ორდღიანი მატჩი. მოსკოველებმა პროგრამის ექვსივე სახეობაში პირველი ადგილები დაიკავეს.

◆ **ლენინგრადი, 12 ივნისი.** ადგილობრივ ტრეკზე გამართულმა საერთაშორისო შეჯიბრებამ, რომელშიც უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჰოლანდიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ველოსიპედისტები მონაწილეობდნენ, დიდი ინტერესი გამოიწვია. ასპარეზობის პირველ დღეს მასპინძლებმა თითქმის პროგრამის ყველა სახეობაში იმარჯვეს: ქალთა სპრინტში საუკეთესო იყო ი. კირიჩენკო (ო. ფხაკაძის წარმატებას უკვე ვიტყობინებოდით. რედ.), გამოდევნებით პირად რბოლაში — დ. პოლიშჩუკი, გუნდურში კი ს. მოსკვინი. მეორე დღეს საბჭოთა ველოსიპედისტებმა კიდევ ორ სახეობაში მოიპოვეს გამარჯვება: 3 კილომეტრზე გამოდევნებით პირად რბოლაში ყველას აჯობა მსოფლიო ჩემპიონმა თ. გარკუშინამ, ხოლო 4 კილომეტრზე გუნდურში — ს. მოსკვინმა, ვ. პანკოვმა, ი. კოპმა და ვ. კუზნეცოვმა. უცხოელი სტუმრები 9 სახეობიდან მხოლოდ სამში იყვნენ პირველნი.

◆ **რეიკიავიკი, 12 ივნისი.** ისლანდიის დედაქალაქში მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის პირველი ნახევრის შემდეგ 16 მონაწილეს შორის დაწინაურდნენ საბჭოთა დიდოსტატები ე. ვასიუკოვი და მ. ტაიმანოვი, რომლებსაც ჯერ არ წაუგიათ. ლიდერებს 6-6 ქულა აქვთ 8-დან. ტურნირი 20 ივნისამდე გასტანს.

◆ **ლონდონი, 12 ივნისი.** საბჭოთა ჩოგბურთელებმა აიღეს სტარტი კენტის საგრაფოს ჩემპიონატში, რომელიც ტრადიციულად უიმბლდონის ტურნირს უძღვის წინ. ამ შეჯიბრების პირველი სენსაცია იყო მოსკოველი ა. ვოლკოვის გამარჯვება. საქმე ის არის, რომ მან პროფესიონალს — ცნობილ ავსტრალიელ ჩოგბურთელ ფ. სედგმანს მოუგო — 4:6, 6:4, 7:5. მოსკოველმა გ. ბაკშეევამ დაამარცხა ახალზელანდიელი ქ. ფლემინგი — 7:5, 7:5, ხოლო ვ. კოროტკოვმა — ავსტრალიელი ვეტერანი ბ. ჰოუ — 6:4, 6:4. ახალგაზრდა მოსკოველმა ო. მოროზოვამ წააგო ი. ლოფდალთან (შვეცია) — 2:6, 6:4, 6:8.

## დღეს ნომერშია:

მოსწავლეთა სპარტაკიადები — მე-2 გვ.
ფეხბურთის მინდვრებზე — მე-3 გვ.
ქალოსანთა ევროპული... — მე-4 გვ.

# სტარტზეა სიჭაბუკე



## დედაქალაქისა დამთავრდა...

თბილისელ მოსწავლეთა 24-ე ტრადიციული სპარტაკიადა კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა. იგი 22 სახეობაში გაიმართა. პროგრამაში პირველად იქნა შეტანილი ნიჩბოსნობა, წყალში ხტომა, მხატვრული ტანვარჯიში და ტურიზმი.

აი, რა გვიამბო ასპარეზობის შესახებ სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა, თბილისის განათლების განყოფილების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სექტორის უფროსმა ა. გიორგობიანმა:

— სპარტაკიადა სამ ეტაპად ჩატარდა. ფინალურ შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ თბილისის რაიონების უფროსი და საშუალო ასაკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდები და რაიონებში გამარჯვებული საშუალო სკოლების კოლექტივები. კალათბურთში, ფრენბურთსა და მძლეოსნურ ოთხჭიდში გამარჯვებული სკოლები საკავშირო ტურნირებში მიიღებენ მონაწილეობას.

IX-X კლასების მოსწავლეთათვის საქალაქო სპარტაკიადის პროგრამაში მძლეოსნური კროსის შეტანამ 12.000-ით გაზარდა მოასპარეზეთა საერთო რაოდენობა.

კარგი მომზადება და ორგანიზებულობა გვიჩვენეს ლენინისა და 26 კომისრის სახელობის რაიონებმა. ლენინის რაიონის წარმომადგენლებს გამარჯვება დარჩათ ცურვაში, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, ნიჩბოსნობაში, ჭადრაკში, მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, 26 კომისრის რაიონის მოსწავლეებმა კი წარმატებას მიაღწიეს სპორტულ ტანვარჯიშში, ველოსპორტში, ფრენბურთში, ხელბურთში, ფარიკაობაში და წყალბურთში.

სპარტაკიადამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ რაიონები სწორედ იმ სახეობებში იმარჯვებენ, რომლებშიც კეთილმოწყობილი ბაზები აქვთ. მაგალითად, ცურვაში ლენინის რაიონის წარმატება „შრომითი რეზერვების“ საცურაო აუზის სრული დატვირთვით უნდა აიხსნათ. ამ რაიონის მოსწავლეთათვის ტერიტორიულად ხელმისაწვდომია თბილისის ზღვის წყალჯომარდობის სადგურიც. ამიტომაც იხინი ნიჩბოსნობაში სხვებზე ერთი თავით მაღლა იდგნენ.

საყვედური გვეთქმის „ტყავის ბურთის პრიზზე“ შარშანდელი საკავშირო ჩემპიონის — ორჯონიკიძის რაიონის „ნაკადულის“ მიმართ. სპარტაკიადაში ეს გუნდი რაიონის სახელს იცავდა, მაგრამ პირველ ორ შეხვედრაში მარცხით (ოქტომბრის რაიონთან — 0:1, ლენინის რაიონთან — 0:4) განაწყენებულმა (!) თანატოლებთან ბრძოლის გაგრძელება აღარ ისურვა.

სპარტაკიადის ჩემპიონთაგან განსაკუთრებით ქების ღირსნი არიან მძლეოსნები ე. გაფრინდაშვილი (85-ე სკოლა), ვ. უზმორსკი (42-ე სკოლა), გ. ხვანიძე (123-ე სკოლა), რომლებმაც ახალი რესპუბლიკური რეკორდები დაამყარეს საშუალო ასაკის ჭაბუკთა შორის.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონობა წილად ხვდა ლენინის რაიონს (92 ქულა). II ადგილზეა 26 კომისრის (90), ხოლო III — ორჯონიკიძის რაიონი (77).

## ...იწყება რესპუბლიკური

*13 ივნისს თბილისის, სოხუმისა და ფოთის საუკეთესო ბაზებზე სტარტს აიღებს კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა XX საიუბილეო რესპუბლიკური სპარტაკიადა.*

*ჩვენი კორესპონდენტი თ. გაჩეჩილაძე შეხვდა სპარტაკიადის მთავარ მსაჯს, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს გ. მერკვილაძეს და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.*

**● რა მიზანს და ამოცანებს ემსახურება წლევანდელი ასპარეზობა?**

— წლევანდელი შეჯიბრების ჩატარების მიზანია სასკოლო კოლექტივებში მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის, აგრეთვე, რაიონების სპორტული სკოლების საქმიანობის შემოწმება და იმ ნაკრები გუნდების დაკომპლექტება, რომლებმაც გაისად მოსწავლეთა XI საკავშირო სპარტაკიადაში უნდა იასპარეზონ.

**● არის თუ არა რაიმე სიახლე პროგრამაში, როგორი იქნება გუნდების შემადგენლობანი?**

— სპარტაკიადა 20 სახეობაში ჩატარდება. კომპლექსური ჩათვლის პროგრამაში პირველადაა შეტანილი მხატვრული ტანვარჯიში. წლევანდელ შეჯიბრებაში მეათეკლასელები არ მონაწილეობენ და ყურადღება VIII-IX კლასელებზეა გამახვილებული. საკავშირო სპარტაკიადისთვის ნაკრები გუნდები სწორედ მათგან დაკომპლექტდება.

მონაწილენი ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. პირველში შედიან აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის და რუსთავის კოლექტივები. დანარჩენები მეორე ჯგუფში იასპარეზებენ.

შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო და გზათა მიმოსვლის სამინისტროს სკოლების მოსწავლეებს. ამასთან, აუცილებელია, რომ ყოველ მონაწილეს ჰქონდეს სულ ცოტა მოზარდთა I თანრიგი. შარშანდელი კურსდამთავრებულები პირველობაში აღარ დაიშვებიან.

**● როგორი იქნება გამარჯვებულთა გამოვლენის წესი?**

— I ჯგუფში 20 სახეობიდან ჩათვლას იძლევა მხოლოდ 12, რომლებშიც გუნდები საუკეთესო შედეგებს მიაღწევენ. ამასთან, აუცილებელ ჩასათვლელ სახეობებად მიჩნეულია მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში და ცურვა. II ჯგუფში ჩათვლას იძლევა 8 სახეობაში მიღწეული საუკეთესო შედეგი.

გთავაზობთ სპარტაკიადის გრაფიკს (სადაც ქალაქი არაა მინიშნებული, ასპარეზობა ტარდება თბილისში).

**კალათბურთი.** 13-16 ივნისი. კიროვის სახელობის პარკის სტადიონი. დასაწყისი 10 ს.

**კრივი.** 18-21 ივნისი. სოხუმი. „სპარტაკის“ დარბაზი. 13 ს.

**თავისუფალი ჭიდაობა.** 13-15 ივნისი. „ფალავანთა დარბაზი“. ი. ჭავჭავაძის პრ. № 49. 12 ს.

**კლასიკური ჭიდაობა.** 18-20 ივნისი. „ფალავანთა დარბაზი“. 12 ს.

**ველოსპორტი.** 13-17 ივნისი. საქართველოს სამხედრო გზის 30-ე კმ. 11 ს.

**წყალბურთი.** 21-24 ივნისი. „სპარტაკის“ საცურაო აუზი. 300 არაგველის, აღმართი, № 1. 11 ს.

**ფრენბურთი.** 13-16 ივნისი. საქალაქო სპორტკავშირის მოედნები. პლეხანოვის პრ. № 117. 10 ს.

**ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობა.** ფოთი. 25-27 ივნისი. წყალჯომარდობის სადგური. 10 ს.

**სპორტული ტანვარჯიში.** 13-17 ივნისი. განათლების საქალაქო განყოფილების დარბაზი. პეტრიაშვილის ქ. № 7. 14 ს.

**მხატვრული ტანვარჯიში.** 20-22 ივნისი. განათლების საქალაქო განყოფილების დარბაზი. 17 ს.

**მძლეოსნობა.** 19-22 ივნისი. „დინამოს“ სტადიონი. 10 ს.

**ცურვა.** 18-21 ივნისი. „სპარტაკის“ აუზი. 11 ს.

**წყალში ხტომა.** 19-21 ივნისი. „სპარტაკის“ საცურაო აუზი. 11 ს.

**ხელბურთი.** 13-16 ივნისი. „განთიადის“ ბაზა. პლეხანოვის პრ. № 95. 10 ს.

**სროლა.** 13-17 ივნისი. ავჭალის სასროლეთი. 10 ს.

**ჩოგბურთი.** 18-24 ივნისი. „დინამოს“ კორტები. 10 ს.

**ფარიკაობა.** 13-17 ივნისი. საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს დარბაზი. ტელმანის ქ. № 8. 10 ს.

**ფეხბურთი.** 13-17 ივნისი. II ჯგუფი. გლდანის სკოლა-ინტერნატის სტადიონი. 10 ს. 19-23 ივნისი. I ჯგუფი. სპორტკლუბ „სინათლის“ სტადიონი. ავჭალის გზატკეცილი. 10 ს.

**მაგიდის ჩოგბურთი.** 13-18 ივნისი. ლენინის სახელობის დარბაზი. კონსტიტუციის ქ. № 6. 10 ს.

**ჭადრაკი.** 23-27 ივნისი. I ჯგუფი. „დინამოს“ საჭადრაკო კლუბი. ბესიკის ქ. № 4. 10 ს. 30 წ; II ჯგუფი. ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატი. კანდელაკის ქ. № 73. 10 ს. 30 წ.

## საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ჩოგბურთში

**მხოლოდ ტექნიკური შედეგები...**

თბილისის „დინამოს“ კორტებზე დასასრულს უახლოვდება საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ჩოგბურთში. გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს.

**ქალები. III წრე (მეოთხედფინალი).** აბჟანდაძე — გოგუა 6:0, 6:2; პაპაიანი — მგალობლიშვილი 6:2, 7:9, 6:2; თუხარელი — ფარსადანოვა 6:2, 6:2; ივანოვა — რუხაძე 6:4, 6:4. **IV წრე (ნახევარფინალი).** აბჟანდაძე — პაპაიანი 6:4, 6:3; თუხარელი — ივანოვა 2:6, 6:2, 9:7.

**ვაჟები. III წრე (მეოთხედფინალი).** კაკულია — პ. აბაშკინი 6:0, 6:8, 6:3, 6:0. გ. მუსაელიანი — ვერულავა 3:6, 3:6, 6:3, 6:1, 3:6; ახალაძე — ლუკაშვილი 7:5, 6:2, 9:7; სენჩუროვი — პერეგუდოვი 3:6, 4:6, 6:3, 2:6. **IV წრე (ნახევარფინალი).** კაკულია — ვერულავა 6:3, 6:2, 6:2; ახალაძე — პერეგუდოვი 6:1, 6:8, 4:6, 6:3, 3:6.

**ქალთა წყვილები (ასპარეზობაში ჩაება 10 წყვილი). I წრე (მერვედფინალი).** გოგუა, პაპაიანი — ჩხაიძე, ბერიაშვილი 6:3, 6:4; ფარსადანოვა, რიაზანოვა — შაპოვალოვა, ელერდაშვილი 6:2, 6:0. **II წრე (მეოთხედფინალი).** ივანოვა, აბჟანდაძე — სუხენკო, მაჩხალიანი 6:0, 6:0; გოგუა, პაპაიანი — ფოშკინა, პეტრენკო (გამარჯვება მიეკუთვნათ გოგუას და პაპაიანს. მეტოქეები არ გამოცხადდნენ); ფარსადანოვა, რიაზანოვა — კეკელია, მირიმანოვა 6:0, 6:1; რუხაძე, თუხარელი — კაცია, ხარიტოვა (გამარჯვება მიეკუთვნათ რუხაძეს და თუხარელს. მეტოქეები არ გამოცხადდნენ).

**ვაჟთა წყვილები (ასპარეზობაში ჩაება 12 წყვილი). I წრე (მერვედფინალი).** ვერულავა, ლუკაშვილი — ერონასიანი, ბოკერია 6:2, 6:4; გიგაია, სენჩუროვი — ვ. აბაშკინი, იმნაძე 6:4, 10:8; პ. აბაშკინი, ვ. ასათიანი — თოფურიძე, ტოსუნოვი (გამარჯვება მიეკუთვნათ აბაშკინსა და ასათიანს. მეტოქეები არ გამოცხადდნენ). შოგირაძე, ხოვანი — ჩხენკელი, ხიტროვი 3:6, 6:3, 7:5. **II წრე (მეოთხედფინალი).** კაკულია, პერეგუდოვი — ორჯონიკიძე, გეგელაშვილი 4:6, 6:3, 6:2; ვერულავა, ლუკაშვილი — გიგაია, სენჩუროვი (გამარჯვება მიეკუთვნათ ვერულავასა და ლუკაშვილს იმის გამო, რომ გიგაია მსაჯთა კოლეგიამ შეჯიბრებიდან მოხსნა); პ. აბაშკინი, ვ. ასათიანი — შოგირაძე, ხოვანი 8:6, 6:4; ახალაძე, გ. მუსაელიანი — ურაევსკი, ევნატაშვილი 7:5, 7:5.

**შერეული წყვილები (ასპარეზობაში ჩაება 14 წყვილი). I წრე (მერვედფინალი).** აბჟანდაძეს და კაკულიას პირველ წრეში მეტოქე არ ჰყავდათ; ბერიაშვილი, ბოკერია — რიაზანოვა, პ. აბაშკინი 6:4, 1:6, 2:6; პაპაიანი, ვ. აბაშკინი — კეკელია, ჩხენკელი 6:0, 6:3; რუხაძე, ახალაძე — გოგუა, ორჯონიკიძე 6:1, 6:4; თუხარელი, სენჩუროვი — ჩხაიძე, იმნაძე 6:4, 6:1; ფარსადანოვა, ვ. ასათიანი — კაცია, ხიტროვი (გამარჯვება მიეკუთვნათ ფარსადანოვასა და ასათიანს. მეტოქეები არ გამოცხადდნენ); შაპოვალოვა, ვერულავა — ტუმბულიდი, თოფურიძე (გამარჯვება მიეკუთვნათ შაპოვალოვასა და ვერულავას. მეტოქეები არ გამოცხადდნენ); ივანოვასა და პერეგუდოვს პირველ წრეში მეტოქე არ ჰყავდათ. **II წრე (მეოთხედფინალი).** აბჟანდაძე, კაკულია — რიაზანოვა, პ. აბაშკინი 6:1, 6:3; რუხაძე, ახალაძე — პაპაიანი, ვ. აბაშკინი 11:9, 6:2; თუხარელი, სენჩუროვი — ფარსადანოვა, ვ. ასათიანი 4:6, 6:3, 6:3; ივანოვა, პერეგუდოვი — შაპოვალოვა, ვერულავა 6:0, 6:1.

## გუშინ...

გამოვლინდნენ საქართველოს ჩემპიონები ქალთა და ვაჟთა წყვილებში. წინა დღეს გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები. **ტექნიკური შედეგები:** ვაჟთა წყვილები. კაკულია, პერეგუდოვი — ვერულავა, ლუკაშვილი 6:4, 6:4, 6:2; ახალაძე, გ. მუსაელიანი — პ. აბაშკინი, ვ. ასათიანი 6:0, 5:7, 6:2, 6:3. ქალთა წყვილები. ივანოვა, აბჟანდაძე—გოგუა, პაპაიანი 6:1, 3:6, 6:0; რუხაძე, თუხარელი—ფარსადანოვა, რიაზანოვა 3:6, 6:3, 6:1. გამოვლინდნენ ფინალისტები შერეულ წყვილთა ასპარეზობაშიც. ესენი არიან აბჟანდაძე — კაკულია (დაამარცხეს რუხაძე და ახალაძე — 6:2, 1:6, 6:2) და ივანოვა — პერეგუდოვი (დაამარცხეს თუხარელი და სენჩუროვი — 8:6, 4:6, 6:2).

ქალთა წყვილების შეჯიბრების ფინალში იმარჯვეს ივანოვამ და აბჟანდაძემ. მათ დაამარცხეს რუხაძე და თუხარელი (6:1, 5:7, 6:4) და საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვეს. III-IV ადგილებისთვის ბრძოლაში ფარსადანოვამ და რიაზანოვამ მოუგეს გოგუასა და პაპაიანს (2:6, 6:3, 6:4). ვაჟთა წყვილებში ჩემპიონის სახელი მოიპოვეს კაკულიამ და პერეგუდოვმა. მათ ფინალში სძლიეს ახალაძეს და გ. მუსაელიანს (8:6, 3:6, 8:6, 6:4). III ადგილი წილად ხვდათ ვერულავას და ლუკაშვილს, რომლებმაც ამ ადგილისთვის ბრძოლაში დაამარცხეს პ. აბაშკინი და ვ. ასათიანი (5:7, 8:6, 6:2, 6:3).

## ქუთაისი

აქ თითქმის ორ თვეს გასტანა მოსწავლეთა XX საქალაქო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულმა შეჯიბრებებმა 17 სახეობაში, რომლებშიც 3000-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. საერთო გუნდური I ადგილი დაიკავა მე-9 საშუალო სკოლამ (დირექტორი დ. ბრეგაძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი ო. შავდია). II ადგილი წილად ხვდა მე-13 საშუალო სკოლას (ნ. რეუნენკოვა, ო. ადეიშვილი), III — მე-14 საშუალო სკოლას (პ. ბინიაურიშვილი, კ. ჯაოშვილი).

**შ. ნიჟარაძე.**

## სოხუმი

ერთ თვეს მიმდინარეობდა ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრება „ტყავის ბურთის პრიზზე“. უმცროსი ასაკის ბავშვთა გუნდებს შორის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ № 1 და № 4 სახლმმართველობათა წარმომადგენლები. გაიმარჯვეს № 1 სახლმმართველობის ფეხბურთელებმა. უფროს ასაკობრივ კატეგორიაში გამარჯვება წილად ხვდა № 6 სახლმმართველობის გუნდს.

**შ. ჯალაღონია.**

## ყვარელი

დამთავრდა ქუჩების გუნდების შეჯიბრება „ტყავის ბურთის პრიზზე“. უმცროსი ასაკის ბავშვებში ფინალი გაითამაშეს „ილიას გორისა“ და „ელვის“ გუნდებმა. გამარჯვებული გამოავლინა მხოლოდ 11-მეტრიანმა საჯარიმო დარტყმებმა. გაიმარჯვეს „ილიას გორის“ წარმომადგენლებმა. უფროსი ასაკის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ქარიშხალა“ და „თოლია“. გაიმარჯვა „ქარიშხალამ“ — 2:0.

**გ. გოგინაშვილი.**

## წალენჯიხა

დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადა. საერთო-გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა 1-ლი საშუალო სკოლის გუნდმა. II ადგილზეა ჯვარის 1-ლი საშუალო სკოლა. III ადგილი წილად ხვდათ ქვედა მაზანდარის სკოლის მოსწავლეებს.

**ო. ხალია.**

## ვანი

ახლახან გაიმართა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირველობა ფრენბურთში. შეჯიბრებაში, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა, მონაწილეობდა ვაჟთა 12 და ქალთა 6 კოლექტივი. ყველას აჯობეს შუამთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ვაჟთა და ქალთა გუნდებმა.

**ი. ხანადირაძე,**
„კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე.

## ლენტეხი

მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა ლენტეხის საშუალო სკოლამ. II ადგილზე გავიდნენ ჩოლურის, III — ხელედის საშუალო სკოლების წარმომადგენლები. რვაწლიან სკოლებში უძლიერესი იყო ლენტეხის სკოლა-ინტერნატი. II ადგილი წილად ხვდა ჰველიერის, ხოლო III — მელურის რვაწლიან სკოლას.

**გ. მუკბანიანი,**
სპორტკავშირის რაისაბჭოს თავმჯდომარე.

## ცხაკაია

აქ დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მძლეოსნობაში. ქალაქის სასწავლებელთა შორის ყველას აჯობა მე-6 საშუალო სკოლის გუნდმა, სოფლის სკოლებში კი უძლიერესნი იყვნენ ძველსენაკელი ნორჩები. რვაწლიან სკოლებში პირველობა მოიპოვეს ნოსირელებმა.

**ე. ბუგუნავა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა

ფეხბურთი
ჩემპიონატი -68

# იუბილარი

## იუზა ლოსაბერიძის მე-200 მატჩი

8 ივნისის მატჩში ქუთაისის „ტორპედოსა“ და ალმა-ათის „კაირატს“ შორის ტორპედოელთა გუნდის კაპიტანმა და მარჯვენა მცველმა, სპორტის ოსტატმა იუზა ლოსაბერიძემ საიუბილეო, მე-200 მატჩი ჩაატარა თავის კოლექტივში.

ი. ლოსაბერიძის სტაბილურ, კვალიფიციურ თამაშზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ქუთაისის „ტორპედოს“ საკავშირო ჩემპიონატებში ამ დღისთვის სულ ჩატარებული ჰქონდა 218 მატჩი და მარჯვენა მცველს მათგან ნათამაშევი აქვს 200!

• • •



სურათზე: ი. ლოსაბერიძე (წინა პლანზე, მარცხნივ) „კაირატთან“ მატჩში.

ფოტო თ. ჭავახაძისა.

## გუნდები, გოლები, ქულები

11 ივნისს დაიწყო მორიგი, მე-13 ტურის მატჩები.

კუიბიშევში, მეორე დამარცხება საკუთარ მინდორზე განიცადა „კრილია სოვეტოვმა“, რომელმაც მიიღო მინსკის „დინამო“. სტუმართა თავდამსხმელმა ვასილიევმა მე-8 წუთზე გაიტანა გოლი, რომლის გაქვითვა მასპინძლებმა ვერ შეძლეს დარჩენილი 87 წუთის განმავლობაში.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ „ტორპედო“ და „ზენიტი“. ანგარიში გახსნა მოსკოველმა სტრელცოვმა, მაგრამ მას მოჰყვა ბურჩალკინის საპასუხო ბურთი და შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

## დიდი ანგარიშით

მორიგი კალენდარული მატჩი ლანჩხუთის „გურიამ“ შინ ჩაატარა კაფანის „ლერნაგორცთან“.

„ლერნაგორცი“ ძლიერი, გამოცდილი გუნდია და კარგი სატურნირო მდგომარეობაც აქვს. მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა შეძლეს დიდი ანგარიშით დაემარცხებინათ იგი. უკვე პირველივე წუთებიდან „გურიამ“ მთლიანად ხელთ იგდო ინიციატივა და ერთ-ერთი იერიშისას სანაძემ თავით გაიტანა ბურთი მეტოქის კარში.

ლანჩხუთელები ამ ანგარიშს შესვენებამდე დასჯერდნენ, მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და „ლერნაგორცის“ კარი განუწყვეტელი იერიშების ობიექტად იქცა. ნარიაშვილმა ზედიზედ გაიტანა 2 გოლი, ხოლო კოხრეიძემ და მენთეშაშვილმა კიდევ თითოჯერ აიძულეს მოწინააღმდეგე ცენტრიდან დაეწყო თამაში.

სტუმრებმა მხოლოდ 1 საპასუხო ბურთის გატანა შეძლეს. გამარჯვება წილად ხვდა „გურიას“ — 5:1.

ი. ეგრალიძე.
(ჩვენი კორ.).

ლანჩხუთი.

## შეხვედრა ლიდერთან

გუშინწინ დიდი ინტერესი გამოიწვია ქობულეთში ადგილობრივი „მუქურას“ შეხვედრამ IV ზონის ლიდერთან — ოქტემბერიანის „სევანთან“. სომეხ ფეხბურთელებს, მართლაც, კარგი შედეგები ჰქონდათ: 11 თამაშიდან 18 ქულა და არც ერთი წაგება.

მატჩმა გაამართლა მაყურებელთა იმედები. მათ იხილეს საინტერესო, ტემპიანი თამაში. დასაწყისიდანვე გამოიკვეთა სტუმრების უპირატესობა, რასაც უკვე მე-10 წუთზე შედეგიც მოჰყვა — 1:0.

„მუქურამ“ საპასუხო იერიშები წამოიწყო და რამდენიმე საგოლე მომენტის შემდეგ, ტაიმის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე, ცენტრალურმა თავდამსხმელმა გაგნიძემ გამოიყენა თანანაშვილის გადაცემა და დაახლოებით 20 მეტრიდან ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

მეორე ნახევარი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. საგოლე მომენტები დაკარგეს იმავე გაგნიძემ და შაფათავამ, ამასთან, კარგად ითამაშეს სტუმრების დაცვამ და მეკარემ.

ლიდერებსაც ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ ვერც მათ გამოიყენეს ისინი და 90-წუთიანი დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 1:1.

ლ. ტრაპაიძე.
(ჩვენი კორ.).

ქობულეთი.

„ა“ ჯგუფი
I ზონა

## „ბ“ ჯგუფი

11 ივნისს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები „ბ“ კლასის რსფსრ-ს ზონებში, სადაც თამაშობდნენ ჩვენი რესპუბლიკის გუნდებიც.

III ზონა. „უროჟაი“ (ლაბინსკი) — „უროჟაი“ (მაიკოპი) 0:0, „უროჟაი“ (სვეტლოგრადი) — „ალაზანი“ (ჭურჯაანი) 1:0, „უროჟაი“ (ალექსანდროვსკაია) — „დილა“ (გორი) 1:0, „სპარტაკი“ (ორიოლი) — „არაზი“ (ნახიჭევანი) 3:0, „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) — „ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური) 1:0, „სპარტაკი“ (ბელგოროდი) — „დაშკინი“ (ზაქათალა) 4:0, „უროჟაი“ (სლავიანსკი) — „ხიმიკი“ (ბალაკოვო) 1:1, „ხიმიკი“ (ნევინომისკი) — „ენერგია“ (ვოლჟსკი) 1:2, „უროჟაი“ (ლენინგრადსკაია) — „ტრუდი“ (ენგელსი) 0:0.

IV ზონა. „მერცხალი“ (მახარაძე) — „არაქსი“ (ეჩმიაძინი) 1:1, „ტრუდი“ (კასპიისკი) — „ლორი“ (კიროვაკანი) 2:0, „კახეთი“ (თელავი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 0:1, „სპარტაკი“ (კისლოვოდსკი) — „დინამო“ (სოხუმი) 0:0, „უროჟაი“ (დერბენტი) — „მაღაროელი“ (ტყიბული) 2:0, „უროჟაი“ (კრიმსკი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:0, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „ენგური“ (ზუგდიდი) 4:0.

## კუბის... თბილისსა და ქუთაისში

თბილისის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს მოსკოვის არმიელთა გუნდი. მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 2:0. ბურთები შესვენების შემდეგ გაიტანეს მეტრეველმა და გავაშელმა.

ქუთაისში ადგილობრივი ტორპედოელები შეხვდნენ „პახტაკორს“. შეხვედრის შედეგია 2:1 სტუმრების სასარგებლოდ. გოლების ავტორები არიან ტაშკენტელი აბდურაიმოვი (2) და შერგელაშვილი.

## მოზარდთა ტურნირი

დასასრულს უახლოვდება „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების რესპუბლიკური ტურნირის პირველი ეტაპი.

II ზონაში გარკვეულია სამივე მონაწილე, რომლებიც მიმდინარე გათამაშების ფინალში ითამაშებენ. ესენია ქუთაისის „ტორპედო“, სოხუმის „დინამო“ და ჭიათურის „მაღაროელი“.

I ზონაში ჯერჯერობით ლიდერობს თბილისის „ლოკომოტივი“. ამ გუნდს არ წაუგია არც ერთი თამაში და 18 ქულით I ადგილზეა.

დევისის თასზე

## წინ „იტალიური წინაღობაა“

დევისის თასის პროგრამით იტალია — სსრ კავშირის ჩოგბურთელთა შეხვედრის ორგანიზაციული მხარის შესახებ ყველაფერი უკვე ცნობილია. იტალიელებმა გამოიყენეს კორტების არჩევის უფლება და გადაწყვიტეს, რომ მატჩი ჩატარდეს მილანის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ რეჯიო-ემილიაში. შეხვედრები გაიმართება 13-15 ივნისს. ჩოგბურთელები ითამაშებენ იტალიური ფირმა „პირელის“ ბურთებით.

სსრ კავშირის ნაკრები კვლავ ძველი შემადგენლობით გამოვა (ისევე, როგორც საბერძნეთისა და იუგოსლავიის გუნდებთან მატჩებში). ჩვენს კვარტეტში შედიან ალექსანდრე მეტრეველი, თომას ლეიუსი, სერგეი ლიხაჩოვი და ვიაჩესლავ ეგოროვი. თავის გუნდში იტალიელებმაც 4 მოთამაშე შეიყვანეს, მაგრამ ეჭვი არავის ეპარება, რომ მათი მთავარი ძალა იქნება ორი მოთამაშე — ნიკოლა პიეტრანჯელი და მარტინ მალიგანი.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ჩოგბურთელებს დევისის თასის გათამაშებაში მონაწილეობის დიდი ხნის გამოცდილება არა აქვთ (1962 წლიდან), თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ისინი კარგად იცნობენ მეტოქეს: ჩვენმა გუნდმა უკვე ორჯერ მოასწრო იტალიელებთან შეხვედრა დევისის თასზე.

გადავხედოთ ისტორიას. საბჭოთა ჩოგბურთელებმა პირველი მატჩი იტალიელებთან გაიმართეს 6 წლის წინათ, ესე იგი, იმ წელიწადს, როცა დებიუტი ჰქონდათ დევისის თასის გათამაშებაში. შეხვედრა გაიმართა ჰააგაში ჰოლანდიის ნაკრებთან I წრის მატჩის მოგების შემდეგ. საბჭოთა ნაკრებში შედიოდნენ თ. ლეიუსი, ს. ლიხაჩოვი, მ. მოზერი და რ. სივოხინი. მატჩი მოეწყო ფლორენციაში. ჩვენი მეტოქეები იყვნენ ნ. პიეტრანჯელი, ჯ. გარდინი, ო. სიროლა და ს. ტაკინი. მაშინ იტალიელთა გუნდი თავისი ძლიერების ზენიტში იყო. შესანიშნავად თამაშობდა პიეტრანჯელი გიგანტ სიროლასთან ერთად. იმ დროისთვის ეს იყო კონტინენტის შესანიშნავი დუეტი. მრისხანე ძალას წარმოადგენდა გამოცდილი, ჭკვიანი და მტკიცე ნებისყოფის ჩოგბურთელი გარდინი. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ჩვენებმა მაშინ „მშრალი“ ანგარიშით წააგეს — 0:5.

ოთხი წლის შემდეგ ეს ორი გუნდი კვლავ შეხვდა ერთმანეთს. ამჯერად, ბოლონიაში იასპარეზეს. გამარჯვება კვლავ იტალიელებს დარჩათ — 4:1. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ლეიუსი, ლიხაჩოვი და ა. ივანოვი. პიეტრანჯელიმ და ტაკინიმ ერთეულებში ყველა შეხვედრა მოიგეს. ერთადერთი ქულა მოგვიტანეს ლეიუსმა და ლიხაჩოვმა წყვილთა შეხვედრაში.

მას შემდეგ მოწინავე საბჭოთა ჩოგბურთელების ოსტატობა შესამჩნევად ამაღლდა. შარშან ჩვენებმა გფრ-ის, დანიისა და ჩილის გუნდებთან ბრწყინვალე გამარჯვებათა შემდეგ ევროპის ზონის „ა“ ჯგუფის ფინალშიასპარეზობის უფლება მოიპოვეს. სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ რეჯიო-ემილიაში საინტერესო და მწვავე ბრძოლა გაჩაღდება.

როგორია იტალიელთა შანსები? ჩვენ მათ დიდ შეფასებას ვაძლევთ. გუნდს კვლავინდებურად მეთაურობს პიეტრანჯელი. ეს მართლაც დაუღალავი, 34 წლის სპორტსმენი დიდ შეჯიბრებებში ახლაც ეფექტურად, ლამაზად თამაშობს. მისი ძველი თანამებრძოლები სიროლა, გარდინი და ტაკინი უკვე გამოეთხოვნენ დიდ სპორტს, ხოლო მათი ღირსეული ცვლა ჯერ კიდევ არ ჩანს. და მაინც, იტალიელთა ნაკრებს ძლიერი მეორე ჩოგანიც ჰყავს. ესაა ცნობილი ავსტრალიელი მარტინ მალიგანი, რომელიც უკვე დიდი ხანია იტალიაში ცხოვრობს და უფლება აქვს ამ ქვეყნის ღირსება დაიცვას. იგი არაერთხელ ყოფილა მოხსენიებული მსოფლიოს 10 უძლიერესი ჩოგბურთელის სიაში. უნდა შევნიშნოთ, რომ პიეტრანჯელის და მალიგანს წყვილთა შეჯიბრებაში არც თუ ზედმიწევნით ესმით ერთმანეთისა, მაგრამ თუ ორივე კარგ ფორმაში იქნა, წარმატების მოპოვება შეუძლიათ. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ იტალიელებს უნდა ჰქონდეთ მატჩში 3 ქულის მოპოვების იმედი. ეს კი, მოგეხსენებათ, გამარჯვებას ნიშნავს.

მაგრამ მოხდება კი ასე? ჩვენი აზრით, ახეთივე შესაძლებლობა აქვს საბჭოთა ნაკრებსაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეტრეველი ჩვეული ოსტატობით ითამაშებს. შეიძლება მან ერთეულთა ორივე შეხვედრა მოიგოს. სხვათა შორის, მეტრეველის აქტივშია ორი გამარჯვება პიეტრანჯელისთან (1966 წელს ბოსტადში და 1967 წელს პალერმოში). მას მალიგანიც დაუმარცხებია (ორი წლის წინ, პარიზში, საფრანგეთის ღია ჩემპიონატში). მეტრეველ — ლიხაჩოვის წყვილმა ამ ერთი წლის წინ პალერმოში დაამარცხა პიეტრანჯელისა და მალიგანის დუეტი და თუ მეტრეველი ლიხაჩოვთან ერთად ამის გამეორებასაც შეძლებს, ცხადია, სასურველ 3 ქულას სწორედ ჩვენი გუნდი დააგროვებს. სხვა საშუალებით ძალიან ძნელია თუნდაც 1 ქულის მოპოვება: საქმე ის არის, რომ ლეიუსი ბოლო წლებში შედარებით სუსტად თამაშობს.

მაშ ასე, დღეს რეჯიო-ემილიაში საინტერესო ბრძოლა იწყება. ვუსურვოთ ჩვენს გუნდს „იტალიური წინაღობის“ მშვიდობით გადალახვა.

ვ. კოლეგორსკი,
სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.

## ...კ რ ც გამარჯვებულებს

თბილისის პირადი პირველობა კომპლექსურ ცურვაში, რომელიც „სპარტაკის“ აუზში ჩატარდა, სპორტსმენთა საერთო მომზადების დონის შემოწმებას ისახავდა მიზნად. შეჯიბრების ყველა მონაწილე 100 მეტრზე ოთხივე სტილით ცურვაში ცდიდა ძალას, გამარჯვების ბედს კი დაგროვილი ქულების ჯამი წყვეტდა. ამ ტურნირში გამოჩნდა, რომ თბილისის მოცურავეთა ტექნიკური მომზადების დონე მეტად ნელა იზრდება. საკმარისია ითქვას, რომ 98 სპორტსმენიდან ჩვიდმეტმა სხვადასხვა სახეობაში სათანრიგო მოთხოვნა ვერ შეასრულა. ოცმა მოცურავემ ძლივს მოახერხა მოზარდთა I თანრიგის ნორმატივის შესრულება, რვამ კი მეორე დღეს საერთოდ აარიდა თავი სარბიელს. მათ შორის იყვნენ რესპუბლიკის ნაკრების წევრები — სპორტის ოსტატი ვ. ჩოლარია („დინამო“), ოსტატობის კანდიდატი ბ. შლეხტი („განთიადი“) და სხვ.

სახარბიელო მაჩვენებლები არც გამარჯვებულებს ჰქონდათ. კომპლექსში ვაჟთა შორის უძლიერესმა ს. შჩუკინმა („ბურევესტნიკი“) I თანრიგის ნორმატივი ვერც ერთ სახეობაში ვერ აჩვენა, დინამოელმა ვ. ანიკინამ კი, რომელიც ქალებში ყველას სჯობდა, მხოლოდ ბრასით ცურვაში აჩვენა დამაკმაყოფილებელი შედეგი — 1.28,0.

უფროსებს ისევ ნორჩებმა აჯობეს. 12 პირველი თანრიგის შედეგიდან 10 სწორედ მათ ანგარიშზე მოდის. გოგონებში ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა 14 წლის მ. ყულიჯანოვამ („დინამო“), რომელმაც თავისუფალი სტილით ცურვაში 1.11,8 აჩვენა, ბრასით — 1.37,3, გულაღმა — 1.20,2, ბატერფლაით — 1.49,7 და საბოლოოდ 1245 ქულა მოაგროვა. ამასთან, თავისუფალ და გულაღმა ცურვაში ყულიჯანოვამ I თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

ჭაბუკებში უძლიერესი იყო მისი თანაგუნდელი ს. მატვეევი — 1664 ქულა (თავისუფალი სტილით — 1.02,9, ბრასით — 1.24,0, გულაღმა — 1.18,7, ბატერფლაით — 1.09,7). მან I თანრიგის შედეგი აჩვენა თავისუფალი სტილით და ბატერფლაით ცურვაში.

ა. გურასაშვილი.

## იმარჯვა „ლოკომოტივმა“

დამთავრდა თბილისის წყალბურთელთა ჩემპიონატი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „ლოკომოტივის“, განათლების განყოფილების, „ბურევესტნიკის“ (2) და „დინამოს“ გუნდები. დინამოელები ტურნირში შესუსტებული ძალით ჩაებნენ, ვინაიდან გუნდის საუკეთესო მოთამაშენი სოციალისტური ქვეყნების დინამოელთა მატჩში (ბერლინი) ასპარეზობდნენ ცენტრალური საბჭოს ნაკრების შემადგენლობაში.

ტურნირისთვის ყველაზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა „ლოკომოტივი“, რომელმაც ჩემპიონობაც მოიპოვა. მან მოუგო განათლების განყოფილების წყალბურთელებს (9:2), „დინამოს“ (5:3), „ბურევესტნიკის“ პირველ (2:1) და მეორე (7:3) გუნდებს. მეორე ადგილზე გავიდა „ბურევესტნიკის“ I ნაკრები, რომელიც ძირითადად პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებით იყო დაკომპლექტებული. მესამე იყო „დინამო“.

დედაქალაქის ჩემპიონი ახლა საქართველოს (დაიწყება 23 ივნისს) და ცენტრალური საბჭოს (1 ივლისიდან, კიშინიოვში) ჩემპიონატებისთვის ემზადება.

ნ. გიგოლაშვილი.




## მესამე სერიის პასუხები

**1.** **სსრ კავშირის საპატიო სპორტის ოსტატის წოდება 1961 წელს დაწესდა. სპორტსმენებს ეს წოდება პირველად მიენიჭათ და შესაბამისი სამკერდე ნიშნები გადაეცათ 1963 წელს.**

სსრ კავშირის საპატიო სპორტის ოსტატის წოდება ენიჭება სპორტსმენს, რომელიც 5 წლის განმავლობაში ზედიზედ აღწევს სპორტის ოსტატის ნორმის ტოლფასოვან ან უფრო მაღალ მაჩვენებლებს. საჭირო მოთხოვნათა შესრულების რეგისტრაცია დაიწყო 1959 წლის 1 იანვრიდან, ხოლო საპატიო წოდებანი საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენებს პირველად მიენიჭათ და შესაბამისი სამკერდე ნიშნები გადაეცათ 1963 წლის აგვისტოში სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებების დროს.

**2.** **ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთა — ანტონ გეეზინკის, ელიზაბეტ კატბერტის, პიტერ სნელისა და აბებე ბიკილას სახელს ატარებს ქუჩები ჰოლანდიის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და ეთიოპიის შემდეგ ქალაქებში: უტრეხტში, პარამატში, კრაისტჩიორჩსა და ადის-აბებაში.**

ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის, ხოლო ევროპის ოცგზის ჩემპიონი — ასეთია ძიუდოს უბადლო ოსტატის, ჰოლანდიელი ა. გეეზინკის სპორტული პასპორტი. პარადოქსია, მაგრამ ასეთი ტიტულების მფლობელი, პროფესიით ქვის მთლელი გეეზინკი არასოდეს ყოფილა თავისი ქვეყნის ჩემპიონი. 1965 წლის 3 ოქტომბრიდან გეეზინკის სახელს ატარებს მისი მშობლიური ქალაქის უტრეხტის ქუჩა, სადაც, სხვათა შორის, თვითონ ცნობილი სპორტსმენი ცხოვრობს. ამავე ქუჩაზეა ანტონის დაფუძნებული ძიუდოისტთა სასწავლებელი, სადაც 600-მდე ბავშვი მეცადინეობს. გეეზინკის სახელს ატარებს როტერდამის ერთ-ერთი საზღვაო კარჭაპიც.

მელბურნის XVI ოლიმპიურ თამაშებში ავსტრალიელმა მძლეოსანმა ელიზაბეტ (ბეტი) კატბერტმა მოიპოვა ოქროს 3 მედალი — 100 (11,5 წამი) და 200 მეტრზე (23,4 წამი, ოლიმპიური რეკორდი) რბენაში, ესტაფეტაში 4×100 მ (44,5 წამი, ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდი). 8 წლის შემდეგ, ტოკიოს ოლიმპიადაში, საბავშვო სახლის აღმზრდელმა, 26 წლის ბეტიმ კიდევ ერთი გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს (ოქროს მედალი 400 მეტრზე რბენაში ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდებით — 52,0 წამი). კატბერტის მშობლიური ქალაქის პარამატის მაგისტრატმა ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი დაარქვა.

ცნობილი მძლეოსნების, საშუალო და სტაიერულ დისტანციებზე მორბენლების, რომისა და ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონების პ. სნელისა და ა. ბიკილას სახელს ატარებს კრაისტჩიორჩისა (ახალი ზელანდია) და ადის-აბებას (ეთიოპია) ქუჩები.

**3.** **1964 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე ყველა შედეგის ფიქსირება ხელის წამმზომებით ხდებოდა. ტოკიოს XVIII ოლიმპიურ თამაშებში ქრონომეტრაჟი ავტომატიზებული იყო. გამოიყენეს „სეიკოს“ ფირმის იაპონური საათები. წინა ოლიმპიადებში ავტომატურ წამმზომებს გამოსაცდელად ხმარობდნენ და მათი აღნიშნული შედეგები მხოლოდ დაკვირვებისა და ანალიზის წყაროს წარმოადგენდა.**

ავტომატური ქრონომეტრის ისარი მოძრაობას სასტარტო პისტოლეტის გასროლისთანავე იწყებს, ხელის წამმზომი კი დაახლოებით 0,15 წამის შეყოვნებით ირთვება (ეს ქრონომეტრისტის ბუნებრივი რეაქციაა გასროლაზე). ჩვეულებრივად, ასეთივე შეყოვნებით იღებენ სტარტს მორბენლებიც. მაშასადამე, ავტომატური წამმზომით აღნუსხული შედეგი საშუალოდ 0,15 წამით უარესია ხელის წამმზომით აღნუსხულზე.

ტოკიოს ოლიმპიური თამაშების მომწყობი კომიტეტის წევრებს, ეს, რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ გამორჩენიათ, მაგრამ მათი რატომღაც აშკარად მცდარი გადაწყვეტილების წყალობით „დროის რელე“ მუშაობას იწყებდა არა 0,15 წამის, არამედ მხოლოდ 0,05 წამის შეყოვნების შემდეგ. ამგვარად, ყველა სპორტსმენის შედეგი ხელოვნურად გაუარესდა 0,1 წამით (ყველაზე მეტად, რასაკვირველია, მოკლე მანძილებზე მორბენლებმა იზარალეს).

აი, რა მოხდა ამის შედეგად: 100 მეტრზე ფინალურ გარბენში ვაჟთა შორის გამარჯვებული ამერიკელი სპორტსმენის რობერტ ჰეიესის დრო იყო 10 წამი (ავტომატური წამმზომის მიხედვით) — არმინ ჰარის 1960 წლის მსოფლიო რეკორდის (დამყარდა ციურიხში) გამეორება. მაგრამ ჰეიესის შედეგი არაოფიციალურად აღინუსხა ხელის წამმზომებითაც. ერთმა აჩვენა 9,8 წამი, ორმა — 9,9. ამრიგად, „დროის რელე“ სამართლიანი რომ ყოფილიყო, ახალი მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე რბენაში დღეისთვის 9,9 წამის ტოლი იქნებოდა!

**4.** **საჭადრაკო მსოფლიოს ვაჟებში 9 ჩემპიონი ჰყავდა. ეს საპატიო ტიტული მოიპოვეს: 1886 წელს — ვილჰელმ სტეინიცმა (ავსტრია), 1894 წ. — ემანუილ ლასკერმა (გერმანია), 1921 წ. — ხოსე რაულ კაპაბლანკამ (კუბა), 1927, 1937 წ. წ. — ალექსანდრე ალიოხინმა, 1935 წ. — მაქს ეივემ (ჰოლანდია), 1948, 1958, 1961 წ. წ. — მიხეილ ბოტვინიკმა (სსრ კავშირი), 1957 წ. — ვასილ სმისლოვმა (სსრ კავშირი), 1960 წ. — მიხეილ ტალმა (სსრ კავშირი), 1963 წ. — ტიგრან პეტროსიანმა (სსრ კავშირი).**

ვაჟთა პირველი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი 1851 წელს გაიმართა ლონდონში. აქ გაიმარჯვა და მსოფლიოს პირველი ფაქტიური ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა გერმანელმა ა. ანდერსენმა. მანვე ითამაშა მსოფლიო პირველობის არაოფიციალურ მატჩში ავსტრიელ ვ. სტეინიცთან. მატჩი მოიგო სტეინიცმა.

პირველი ოფიციალური მატჩი მსოფლიო პირველობაზე გაიმართა 1886 წელს სტეინიცსა და ი. ცუკერტორტს შორის. მსოფლიოს პირველი ჩემპიონის სახელი მოიპოვა სტეინიცმა. ეს საპატიო წოდება მას ჩამოართვა გამოჩენილმა გერმანელმა მოჭადრაკემ ლასკერმა. შემდეგ სამყაროს უძლიერესი მოჭადრაკეები იყვნენ: კაპაბლანკა, ალიოხინი, ეივე და... ისევ ალიოხინი. 1946 წელს ალიოხინი გარდაიცვალა. ორი წლის შემდეგ ჩატარდა მატჩ-ტურნირი მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკის გამოსავლენად. ტურნირში მონაწილეობდნენ იმ დროის მოწინავე დიდოსტატები ბოტვინიკი, პ. კერესი, სმისლოვი (ყველა — სსრ კავშირი), ეივე (ჰოლანდია) და ს. რეშევსკი (აშშ). მეორე ამერიკელმა დიდოსტატმა რ. ფაინმა უარი განაცხადა თამაშზე. I ადგილი და მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიპოვა ბოტვინიკმა. მან ორჯერ დაუთმო „საჭადრაკო გვირგვინი“ საბჭოთა დიდოსტატებს სმისლოვსა და ტალს, მაგრამ მატჩ-რევანშების წყალობით ორივეჯერ დაიბრუნა იგი. 1963 წლიდან დღემდე მსოფლიოს ჩემპიონია პეტროსიანი.

**5.** **სპორტულ თამაშობათა სახეობა, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონატები არ ეწყობა, ბევრია. მსოფლიო ჩემპიონატების შემცვლელი შეჯიბრებები ტარდება სპორტულ თამაშობათა მხოლოდ შემდეგ სახეობებში: წყალბურთში, ჩოგბურთში, ბადმინტონსა და რეგბიში.**

1949 წელს ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყოველი ოლიმპიური თამაშების მომდევნო წელს ჩატარებულიყო წყალბურთელთა იმ ექვსი ეროვნული ნაკრები გუნდის ტურნირი, რომლებიც განვლილ ოლიმპიადაში პირველ ექვს ადგილს დაიკავებდნენ. სწორედ ექვსთა ეს შეჯიბრებაა წყალბურთში მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატი.

გათამაშების დებულების თანახმად. ყოველი მომდევნო შეჯიბრება წინა ტურნირში I ადგილზე გასული გუნდის სამშობლოში ეწყობა (რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ ეს გუნდი ოლიმპიური ტურნირის ექვსეულში მოხვდა). პირველი გათამაშება გაიმართა იტალიაში — ლონდონის 1948 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის სამშობლოში. შეხვედრები ჩატარდა მილანსა და გენუაში. გამარჯვებულის დასაჯილდოებლად იტალიის ცურვის ფედერაციამ დააწესა „იტალიის თასი“ და შემდეგში აღნიშნულ ტურნირს სწორედ ეს სახელი შეერქვა. ეს ჯილდო პირველად ჰოლანდიის ნაკრებმა მოიპოვა. „ექვსთა ტურნირის“ მეორე გათამაშებაში (ჰოლანდია, ქ. ნეიმეგენი, 1953 წ.) გაიმარჯვეს იუგოსლავიელებმა. 1957 წელს უძლიერესები შეიკრიბნენ ზაგრებში (იუგოსლავია), სადაც ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებიც გამოვიდნენ. საბჭოთა სპორტსმენების დებიუტი ბრწყინვალე გამოდგა — 4 მოგება, 1 ფრე და I ადგილი. გუნდის შემადგენლობა ასეთი იყო: პ. მშვენიერაძე, ბ. გოიხმანი, ვ. პროკოპოვი, ვ. კურენოი, პ. ბრეუსი, ნ. გვახარია, ი. ზინგერი, ვ. სემიონოვი, ვ. პირეიკო, ა. კარტაშოვი, ე. დიმერეცი.

ყველაზე დიდ წარმატებას ამ შეჯიბრებაში, რა თქმა უნდა, უნგრელებმა მიაღწიეს. 1961 წლისა (მოსკოვი) და 1965 წლის (ბუდაპეშტი) ტურნირებში მათ ზედიზედ მოიპოვეს I ადგილი და, დებულების თანახმად, გარდამავალი ჯილდო მუდმივად დაისაკუთრეს.

*დევისის თასის* გათამაშება მსოფლიო არაოფიციალური გუნდური პირველობაა ჩოგბურთელ ვაჟთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ მოყვარულთაგან შემდგარ ეროვნულ ნაკრებ გუნდებს. გათამაშების გარდამავალი ჯილდო — ვერცხლის დიდი სასალათე — 1900 წელს დააწესა იმ დროის ერთ-ერთმა უძლიერესმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა დუაიტ დევისმა. დღემდე ჩატარებულ 56 ტურნირში ეს საპატიო ჯილდო მხოლოდ ოთხმა ქვეყანამ დაიმსახურა — ავსტრალიამ (22-ჯერ), ამერიკის შეერთებულმა შტატებმა (19-ჯერ), ინგლისმა (9-ჯერ) და საფრანგეთმა (6-ჯერ). ამჟამად თასი ავსტრალიაშია.

საბჭოთა ჩოგბურთელები დევისის თასის გათამაშებაში 1962 წლიდან მონაწილეობენ. ყველაზე დიდ წარმატებას მათ 1967 წელს მიაღწიეს (გავიდნენ ევროპის „ა“ ზონის ფინალში). წლეულს სსრ კავშირის ნაკრები (ა. მეტრეველი, თ. ლეიუსი, ს. ლიხაჩოვი, ვ. ეგოროვი) კვლავ ჩაება დევისის თასის მორიგ, 57-ე გათამაშებაში და პირველ ორ წრეში უკვე მოიპოვა გამარჯვება: საბერძნეთთან (4:1) და რუგოსლავიასთან (5:0).

*ჩოგბურთელ ქალთა* მსოფლიოს არაოფიციალური გუნდური პირველობის სახელს ატარებს შეჯიბრება ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ჯილდოზე. ამ ასპარეზობაში საბჭოთა ჩოგბურთელებმა პირველად წლეულს მიიღეს მონაწილეობა (გ. ბაკშეევა, ა. დმიტრიევა, ო. მოროზოვა) და მეოთხედფინალში ინგლისთან დამარცხდნენ (0:3). I ადგილი დაიკავა ავსტრალიის ნაკრებმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა ჰოლანდიის გუნდი — 3:0.

*უიმბლდონის ტურნირი* ინგლისის ღია ჩემპიონატია და, ამავე დროს, მსოფლიოს არაოფიციალურ პირად პირველობად ითვლება. შეჯიბრების ტრადიციული ადგილია ლონდონის გარეუბანი უიმბლდონი. პირველი შეჯიბრება გაიმართა 1877 წელს. მონაწილეთა რიცხვი განსაზღვრულია — 128 ვაჟი და 96 ქალი. უიმბლდონის ტურნირებში ავსტრალიელთა და ამერიკელთა ჰეგემონია აშკარაა. საბჭოთა სპორტსმენები 1958 წლიდან მონაწილეობენ მასში.

*მსოფლიოს არაოფიციალურ* პირველობად ითვლება რეგბისტთა შეჯიბრება რეგბის საერთაშორისო ფედერაციის პრიზზე და ინგლისის ღია ჩემპიონატი ბადმინტონში. სხვათა შორის, სპორტულ თამაშობათა ამ მეტად საინტერესო სახეობებს სახელი ინგლისის პატარა ქალაქების რეგბისა და ბადმინტონის მიხედვით დაერქვა.

**6.** **XV ოლიმპიური თამაშებისთვის განკუთვნილი ჰელსინკის ოლიმპიური სტადიონის მშენებლობა 1938 წელს დამთავრდა (რეკონსტრუირებულია 1952 წელს), ხოლო ოლიმპიური სოფლის მშენებლობა ოტანიემში — 1940 წელს (1952 წელს დაამატეს ახალი ნაგებობანი კაპიულიაში).**

1940 წლის XII და 1944 წლის XIII ოლიმპიურ თამაშებს, რომლებიც ტოკიოსა და ლონდონში უნდა ჩატარებულიყო, მეორე მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ადრინდელი გადაწყვეტილებით, 1940 წლის ოლიმპიური თამაშების ჩატარება ტოკიოში იყო განზრახული, მაგრამ შორეულ აღმოსავლეთსა და წყნარი ოკეანის მიდამოებში გაჩაღებული აგრესიით „დატვირთულმა“ იაპონიამ უარი თქვა სპორტსმენთა მასპინძლობაზე. ოლიმპიადის ჩატარება ფინეთს დაევალა. ჰელსინკში 1938 წელს დამთავრდა ოლიმპიური სტადიონის მშენებლობა (45 ათასი მაყურებლისთვის), ხოლო 1940 წელს მწყობრში ჩადგა ოლიმპიური სოფელი. მაგრამ 1940 წელს ოლიმპიური ასპარეზობის ჩატარება მსოფლიო ომის გამო ვერც ფინეთში მოხერხდა. XV ოლიმპიადა მხოლოდ 12 წლის შემდეგ, 1952 წლის 19 ივნისს გაიხსნა ჰელსინკის რეკონსტრუირებულ ოლიმპიურ სტადიონზე (70 ათასი მაყურებლისთვის).

**7.** **საბჭოთა მძლეოსნებმა ევროპის ჩემპიონატში სტარტი პირველად აიღეს 1946 წელს ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში. ჩვენმა ათლეტებმა მაშინ წარმატებით იასპარეზეს და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში შვედი მძლეოსნების შემდეგ II ადგილი დაიკავეს.**

მძლეოსნობაში ევროპის პირველი ჩემპიონატი მოეწყო 1934 წელს იტალიის ქალაქ ტურინში. საბჭოთა მძლეოსნებმა პირველივე გამოსვლაში (1946 წ.) გამოიჩინეს თავი და კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედლები მოიხვეჭეს. ესენი იყვნენ ევგენია სეჩენოვა (რბენა 100 მ — 11,9 წამი და 200 მ — 25,4 წამი), ნინო დუმბაძე (ბადროს ტყორცნა — 44,52 მ), ტატიანა სევრიუკოვა (ბირთვის კვრა — 14,16 მ), კლავდია მაიუჩაია (შუბის ტყორცნა — 46,25 მ) და ნიკოლოზ კარაკულოვი (რბენა 200 მ — 21,6 წამი). ორი მედალი დაისაკუთრა ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელმა ელენე გოკიელმა — 80 მეტრზე თარჯრბენში (ვერცხლი) და ესტაფეტაში 4×100 მეტრზე (ბრინჯაო).

საბჭოთა მძლეოსნები ლიდერობდნენ ყველა შემდგომ ჩემპიონატში: 1950 წელს — ბრიუსელში (ბელგია), 1954 წელს — ბერნში (შვეიცარია), 1958 წელს — სტოკჰოლმში (შვეცია), 1962 წელს — ბელგრადში (იუგოსლავია) და 1966 წელს — ბუდაპეშტში (უნგრეთი). ქართველი სპორტსმენებიდან მედლები მოიპოვეს: 1950 წელს — ნინო დუმბაძემ (ბადროს ტყორცნა) და 1966 წელს — ალექსანდრე შჩერბინამ (სპორტული სიარული 50 კმ-ზე).

**8.** **თავიანთ ოლიმპიადებს ატარებენ შემდეგი კონტინენტები: ამერიკა — 1951 წლიდან, აზია — 1951 წლიდან, აფრიკა — 1965 წლიდან. მხოლოდ ევროპას არ ჩაუტარებია დღემდე რაიმე კომპლექსური საკონტინენტო შეჯიბრება. რაც შეეხება ავსტრალიას, აქ საკონტინენტო ოლიმპიადას ფაქტიურად ეროვნული ჩემპიონატები წარმოადგენენ.**

აღსანიშნავია, რომ აზიის 1963 წლის თამაშებში ოქროს მედლები მოიპოვეს ფარნაოზ ჩიკვილაძემ (ძიუდო) და ნუგზარ გოგიბედაშვილმა (თავისუფალი ჭიდაობა).

**9.** **სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ევგენი გრიშინმა ხუთ ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა, აქედან ოთხი ზამთრისა იყო, ერთი — ზაფხულის. ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენმა ასეთი შედეგები აჩვენა: 1956 წელი — კორტინა დ'ამპეცო (იტალია) — ოქროს 2 მედალი (500 და 1500 მ), 1960 წელი — სკვო-ველი (ამერიკის შეერთებული შტატები) — ოქროს 2 მედალი (500 და 1500 მ), 1964 წელი — ინსბრუკი (ავსტრია) — ვერცხლის მედალი (500 მ) და 1968 წელი — გრენობლი (საფრანგეთი) — IV ადგილი (500 მ).**

ჰელსინკის 1952 წლის XV ოლიმპიურ თამაშებში გრიშინი სსრ კავშირის ველომრბოლელთა ნაკრები გუნდის წევრი იყო (ტრეკი). მაგრამ შეჯიბრების წინადღით ჩატარებულ ბოლო საკონტროლო სერიაში ადრე მიღებული მცირე ტრავმის გამო მაღალი შედეგი ვერ აჩვენა და მწვრთნელმა ლ. შელეშნევმა პირველ ნომრად ვ. კიპურსკი დააყენა.

**10.** **სურათზე აღბეჭდილი არიან ქართული ტანვარჯიშის საამაყო წარმომადგენლები, ომამდელი წლების საბჭოთა ტანვარჯიშის მოწინავენი, მარცხნივ — გიორგი რცხილაძე და მარჯვნივ — გიორგი ბაბილოძე.**

გ. რცხილაძე სსრ კავშირის სამგზის აბსოლუტური ჩემპიონია (1932, 1933 და 1934 წლებში), გ. ბაბილოძე (რგოლებზე ვარჯიშის შეუდარებელი ოსტატი) — 1932 წლის საკავშირო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, სსრ კავშირის ჩემპიონი 1939 (ორძელზე) და 1940 წლებში (რგოლებზე).

სურათი გადაღებულია 1932 წელს ლენინგრადში, სსრ კავშირის პირველობის დღეებში.

* * *

მესამე სერიის შემდეგ კონკურსში დაწინაურებულთა გვარები უახლოეს დღეებში გამოქვეყნდება მეოთხე სერიის კითხვებთან ერთად.

## „თეთრი ღამეების“ მეტოქე

ლენინგრადი, 12 ივნისი. ([illegible] კორ. ს. გაჩრიკოვი). 19 ივნისს აქ გაიხსნება ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში. ლამაზი აფიშები და პლაკატები ლენინგრადელებსა და მათ სტუმრებს კონტინენტის ყველაზე ღონიერ ადამიანებთან შეხვედრას ჰპირდება. ფიცარნაგზე გამოვლენ 19 ქვეყნის — ავსტრიის, ბელგიის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, დანიის, იტალიის, ესპანეთის, ნორვეგიის, პოლონეთის, რუმინეთის, თურქეთის, საფრანგეთის, ფინეთის, შვეციის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ათლეტები.

მოასპარეზეთათვის განკუთვნილია ზამთრის სტადიონი, რომელიც ფრენბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის, ახალგაზრდა მოფარიკავეთა მსოფლიო პირველობის, აგრეთვე, ტანმოვარჯიშეთა, კალათბურთელთა და მოკრივეთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრებების მოწმე ყოფილა.

ფიცარნაგს ჯერ კიდევ ნაძვის სუნი ასდის. უკვე მზადაა, აგრეთვე, 2300 მაყურებლისთვის განკუთვნილი ტრიბუნა. სალაროებში დაიწყო ბილეთების გაყიდვა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შეჯიბრების ბოლო დღე — მძიმეწონოსანთა პაექრობა.

ჩემპიონატის პრეს-ცენტრში აკრედიტებულია დაახლოებით 100 საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტი. შეჯიბრებები ყველა წონით კატეგორიაში 19 საათზე დაიწყება მოსკოვის დროით.

პირველად აქ რუმინელები ჩამოვიდნენ. ეს ახალგაზრდული კოლექტივია (სპორტსმენთა საშუალო ასაკი—23 წელი). გუნდის ხელმძღვანელმა, რუმინეთის ძალოსნობის ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა ლ. ბაროგიმ განაცხადა, რომ ბევრი მათგანი პირველად მიიღებს მონაწილეობას ასეთ დიდ ტურნირში. მათი ჩამოსვლის მიზანიც ეს გახლავთ — ახალგაზრდების გაწვრთნა. გამონაკლისია მხოლოდ 24 წლის ბ. ფიცი (მსუბუქი წონა), რომელსაც უკვე უასპარეზია ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში, აგრეთვე, ოლიმპიურ თამაშებში. „იგი ჩვენი მთავარი იმედია“, — თქვა ბაროგიმ.

რუმინელი სტუმრის აზრით, გუნდურ ჩათვლაში მთავარი ბრძოლა გაჩაღდება საბჭოთა კავშირის, პოლონეთისა და უნგრეთის წარმომადგენელთა შორის.

## ჩემპიონები

**პრაღა, 11 ივნისი.** საბჭოთა ფეხბურთის მოყვარულთათვის კარგად ცნობილმა გუნდმა — ტრნავის „სპარტაკმა“ ვადამდე — ჩეხოსლოვაკიის პირველობის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდა ჩემპიონის წოდება. ამ 45 წლის მანძილზე ეს მეორე შემთხვევაა, როცა ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი პრაღის გუნდი არ გახდა. სპარტაკელებმა, რომლებიც შარშან ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მონაწილეობდნენ (ალბათ, გახსოვთ მათი შეხვედრები მოსკოვის „ტორპედოსთან“), პირველად მოიპოვეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების საგზური.

**ბუქარესტი, 11 ივნისი.** რუმინეთის საიუბილეო, 50-ე ჩემპიონატი დედაქალაქის „სტიაუას“ გამარჯვებით აღინიშნა. ამრიგად, ეს გუნდი, რომელმაც 26 თამაშში 35 ქულა მოაგროვა, მეშვიდედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი ფეხბურთში.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**



**გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.**

**რედაქციის მისამართი:** თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 93-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 93-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-95-14, ფოტოლაბორატორია — 93-95-16, მემანქანეთა ბიურო — 93-95-11, გამომშვები — 93-93-81.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 03294